**განმარტებითი ბარათი**

**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებ ის შეტანის შესახებ“**

**საქართველოს კანონის პროექტზე**

**ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია მაღალი საგადასახადო ტვირთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით. დღეს უნივერსიტეტების ძირითად შემოსავალს (90-95%) სწავლების გადასახადი წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ერთი ხელით აძლევს სტუდენტს გრანტს, ხოლო მეორე ხელით - უკანვე ართმევს უნივერსიტეტს იმ ფულს, რომლიც მან სტუდენტის განათლებას უნდა მოახმაროს.

დღეს მოქმედებს განსხვავებული მიდგომა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლებთან) მიმართებაში, რადგან მხოლოდ სკოლები არიან გათავისუფლებული მოგების გადასახადიდან და უნივერსიტეტები -არა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია, იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც არ არიან მოგების მიღებაზე ორიენტირებული, შეუმციროს საგადასახადო ტვირთი, რის შედეგადაც უნივერსიტეტებს მიეცემათ შესაძლებლობა დაზოგილი თანხა მოახმარონ სწავლებისა და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტების, პროფესორებისა და მკვლევარებისთვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გათავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების გადასახადის განისაზღვრება 0.1%-ით.

იგივე საგადასახადო რეჟიმი უნდა გავრცელდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდზეც, რომელიც არსდება უნივერსიტეტის მიერ და განკარგავს უნივერსიტეტის ქონების და

ფინანსების ნაწილს. გასათვალისწინებელია, რომ ფონდის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალიც ხმარდება ისევ უნივერსიტეტის საქმიანობას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი

ვ). კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი